



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი no. 7224/11)

გადაწყვეტილება

მუხ 14 (+3) • დისკრიმინაცია • დამამცირებელი მოპყრობა • პოლიციის შეურაცხყოფელი ქმედებები ლგბტ ორგანიზაციის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს, რომელიც მოტივირებული იყო ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილით • განზრახ შეურაცხყოფა და დამცირება, სიძულვილის ენის და შეურაცხყოფელი გამონათქვამების გამოყენებით • მუქარა ფიზიკური ძალის გამოყენებისა და მომჩივნების სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების თაობაზე • არამართლზომიერი ჩხრეკა გაშიშვლებით, ჩხრეკის ოქმის შედგენის გარეშე • ეფექტური გამოძიების არ არსებობა

სტრასბურგი

2020 წლის 8 ოქტომბერი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებების შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია)

პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

სიოფრა ო'ლირი, *პრეზიდენტი*

გაბრიელ კუცსკო-შტადმაიერი

განნა იუდკივსკა,

მარტინს მიტსი,

ლადო ჭანტურია,

ანია სიბერტ-ფორი,

მატიას გიომარი, *მოსამართლეები*,

და ვიქტორ სოლოვეტჩიკი, *სექციის განმწესრიგებელი*,

გაითვალისწინა რა:

საქართველოს ორი მოქალაქის, ქალბატონი ეკატერინე აღდგომელაშვილის („პირველი მომჩივანი“) და ქალბატონი თინათინ ჯაფარიძის („მეორე მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2011 წლის 25 იანვარს სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი;

გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობისათვის („მთავრობა“) საჩივრის შეტყობინების თაობაზე;

მხარეთა არგუმენტები;

2020 წლის 15 სექტემბერს გამართული დახურული თათბირის შემდგომ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნულ დღეს იქნა მიღებული:

შესავალი

1. საჩივარი ეხება პოლიციის მიერ მომჩივანთა სავარაუდოდ დისკრიმინაციულ არასათანადო მოპყრობას (მათი რეალური და/ან აღქმული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე) და, სავარაუდოდ, შიდასახელმწიფო დონეზე ეფექტური გამოძიების არ არსებობას, რომელიც, მათ შორის, გამოავლენდა, თუ რა როლი შეასრულა ჰომოფობიურმა და/ან ტრანსფობიურმა მოტივებმა არასათანადო მოპყრობაში. მომჩივნები ეყრდნობიან კონვენციის მე-3, მე-8 და მე-14 მუხლებს და მე-12 დამატებითი ოქმის პირველ მუხლს.

ფაქტობრივი გარემოებები

2. პირველი მომჩივანი დაიბადა 1969 წელს, ხოლო მეორე კი 1979 წელს. ორივე თბილისში ცხოვრობს. მათ წარმოადგენდნენ სამი ქართველი ადვოკატი და ერთი ბრიტანელი ადვოკატი (ბატონი ლ.ჭინჭარაული, ქალბატონი ა.თვარაძე, ქალბატონი ს.ჯაფარიძე და ქალბატონი ჯ.სოიერი), ხოლო შემდგომ კი ოთხი ბრიტანელი ადვოკატი (ბატონი ფ.ლიში, ქალბატონი ჯ.ევანსი, ბატონი ჯ.გავრონი და ქალბატონი ქ.ლევინი).

3. მთავრობას წარმოადგენდა ბატონი ლ.მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

4. პირველი მომჩივანი საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანების ორგანიზაციის „ფონდ ინკლუზივის“ თანა-დამფუძნებელია. ორგანიზაციის მიზანია საქართველოში ლგბტ ჯგუფის ინტეგრაციის ხელშეწყობა საზოგადოებაში ჰომოფობიის დაძლევის, უფლებათა ადვოკატირებისა და ჯგუფის სამოქალაქო აქტივობის გაზრდის გზით. ქვემოთ წარმოდგენილი მოვლენების განვითარების დროს (იხ. პუნქტები 6-17), პირველი მომჩივანი „ფონდ ინკლუზივში“ მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე, პროგრამის მენეჯერის თანამდებობაზე. ამასთან ორგანიზაციის დირექტორის არყოფნის პერიოდში იგი ასრულებდა ხელმძღვანელის მოვალეობას. მეორე მომჩივანი „ფონდ ინკლუზივში“ პროგრამის ოფიცრად მუშაობდა და მას ოფისის ადმინისტრირება ევალებოდა.

5. ქვემოთ შეჯამებულია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მომჩივნებმა წარმოადგინეს და მთავრობას სადავოდ არ გაუხდია.

I. 2009 წლის 15 დეკემბრის ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებები

A. ინციდენტის ზოგადი აღწერა, რომელიც ეფუძნება მოწმეთა წერილობით ჩვენებებს

6. 2009 წლის 15 დეკემბერს, „ფონდი ინკლუზივის“ ოფისში, რომელიც თბილისში მდებარეობს, დაახლოებით 8-10 ქალი შეიკრიბა, დაგეგმილი სამხატვრო გამოფენისთვის მოსამზადებლად. ისინი ოფისის სამხარეულოში მუშაობდნენ. მათთან ერთად ოფისში, ასევე, იმყოფებოდა „ფონდ ინკლუზივის“ დირექტორი, პ.ს.

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

7. დაახლოებით საღამოს 6-7 საათზე ვილაცამ კარზე ზარი დარეკა. კარის გაღებისთანავე ოფისში შეიჭრა დაახლოებით 17 ქალი და კაცი, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. მათ ოფისში მყოფებს თავი წარუდგინეს პოლიციის თანამშრომლებად და მოითხოვეს პ.ს., ფონდის დირექტორი. დაკითხვის მიზნით, მათ მოახდინეს პ.ს.-ს იზოლირება ცალკე ოთახში, ხოლო სამზარეულოში მყოფ ყველა ქალს შეხვედრის ოთახში შესვლა მოსთხოვეს. პოლიციელებმა სამზარეულოში დატოვეს მხოლოდ ა.მ., ტრანსსექსუალი ქალი - ბიოლოგიური კაცი, ვინაიდან, როგორც ჩანს, ისინი ა.მ.-ს გენდერს ვერ მიხვდნენ. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ ისინი აპირებდნენ ფონდის ოფისში ჩხრეკის ჩატარებას. ამასთან, მათ არ წარუდგენიათ განჩინება ჩხრეკის თაობაზე ან რაიმე სასამართლო ორდერი, მიუხედავად იმისა, რომ ოფისში მყოფმა ქალებმა აღნიშნული არაერთხელ მოითხოვეს.

8. ჩხრეკის დაწყებისას ჩანდა, რომ პოლიციამ არ იცოდა არასამთავრობო ორგანიზაციის სამუშაოს სპეციფიკის შესახებ. აღნიშნული პოლიციელებმა ჩხრეკის პროცესში შეიტყვეს, მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს კედლებზე განთავსებული პოსტერები, სადაც ჰომოსექსუალი წყვილები იყო გამოსახული. მათ დაიწყეს კითხვების დასმა ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით და როგორც კი მიხვდნენ, რომ ისინი ლგბტ ორგანიზაციის შენობაში იმყოფებოდნენ, გახდნენ აგრესიულები და ჰომოფობიურად იქცეოდნენ. პოლიციელებმა იმ ქალებს, რომლებიც შეხვედრის ოთახში იმყოფებოდნენ, უწოდეს „არა-ქართველები“, „ავადმყოფი ადამიანები“ და „გარყენილები, რომელთაც სამედიცინო მკურნალობა ესაჭიროებათ“. მათ ფონდის დირექტორზე, პ.ს.-ზე მიუთითეს და იკითხეს, თუ რა საერთო ჰქონდათ ფონდის ოფისში მყოფ ქალებს იმ „პიდარასტთან“.

9. ზოგიერთი პოლიციელი ოფისში მყოფ ქალებს საზოგადოებასთან, მშობლებთან და ნათესავებთან მათი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებით ემუქრებოდა. განხორციელდა მუქარები ოჯახის წევრების მისამართითაც. პოლიციელთა თქმით, ოფისში მყოფი პირები მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ, მათ მიმართ ფიზიკურ ძალას გამოიყენებდნენ. ერთ-ერთმა პოლიციელმა შეხვედრის ოთახში კედლიდან ჩამოხია პოსტერი, რომელზეც გამოსახული იყო ორი მამაკაცი, რომლებიც ერთმანეთს ეხუტებოდნენ, დახია და დაამატა - ასანთი რომ მქონდეს, აქაურობასაც დავეწვავდიო. პოლიციელმა კაცებმა, რომელთაც ჩათვალეს, რომ ა.მ. იყო მამაკაცი (იხ. პუნქტი 7 ზემოთ), სცადეს მასთან მეგობრულად

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

დალაპარაკება და სარკასტულად ჰკითხეს, ოთახში მყოფ ქალებს საერთოდ აინტერესებდათ თუ არა კაცები.

10. ჩხრეკის დროს, არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორის, პ.ს.-ს სამუშაო მაგიდაში ნაპოვნი იქნა კანაფი. იგი დააპატიმრეს და მაშინვე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, დაკითხვის მიზნით. პ.ს.-ს მოგვიანებით ბრალად წაუყენეს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც მან აღიარა. იგი საპროცესო გარიგების საფუძველზე გაანთავისუფლეს და ჯარიმა დააკისრეს.

11. ყოველგვარი ახსნა-განმარტებებისა და ქალებისათვის მათი უფლებების შესახებ ინფორმირების გარეშე, დაახლოებით ღამის 10:30 სთ-ზე, პოლიციელებმა განაცხადეს, რომ ქალები გაშიშვლების მეთოდით უნდა გაეჩხრიკათ. პოლიციელებს არ გაუჩხრიკავთ მხოლოდ ა.მ. და კიდევ ორი ქალი. გაშიშვლებით ჩხრეკა ჩატარდა ოფისის ტუალეტში, ორი ქალი პოლიციელის მიერ. ისინი, უმეტესად, ერთდროულად ჩხრეკდნენ 2-3 ქალს, ხოლო ზოგიერთს საცვლის გახდას სთხოვდნენ. ქალები ცივ იატაკზე ფეხით იდგნენ, ხოლო პოლიციელები, რომლებიც მათ ჩხრეკდნენ, ქალებს ისეთი დამამცირებელი სიტყვებით მიმართავდნენ, როგორიცაა, „ლესბოსელი“. ქალები, რომლებიც გაშიშვლების მეთოდით გაჩხრიკეს, თვლიდნენ, რომ რეალურად, ჩხრეკა მათ დასამცირებლად ჩატარდა, ვინაიდან პოლიციელები ტანსაცმელს, რომლის გახდასაც ქალებს სთხოვდნენ, ყურადღებას თითქმის არ აქცევდნენ.

12. ქალების და მათ შორის, მომჩივნების განთავისუფლებამდე, დაახლოებით ღამის 11:30 სთ-ზე, პოლიციელებმა ჩაიწერეს მათი სახელები და დაბადების თარიღები. ამასთან, პოლიციელებს მათთვის არ უთხოვიათ რაიმე დოკუმენტის ხელმოწერა. არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ქალები, რომლებიც ჩხრეკის დღეს ოფისში იმყოფებოდნენ, იყვნენ იმ ნარკოდანაშაულის თანამონაწილეები, რომელთან დაკავშირებითაც, მოგვიანებით, პ.ს. დამნაშავედ იქნა ცნობილი (იხ. პუნქტი 10 ზემოთ).

B. პირველი მომჩივნის მიერ საკუთარი მდგომარეობის აღწერა, 2009 წლის 15 დეკემბრის ინციდენტის დროს

13. პირველი მომჩივანი ფონდის ოფისში 2009 წლის 15 დეკემბერს, დაახლოებით, საღამოს 8 საათზე მივიდა. როგორც კი მან ოფისის კარი შეაღო, შავ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა იგი შეხვედრის ოთახში შეაგდო. მას შემდეგ, რაც პირველმა მომჩივანმა გააცნობიერა, რომ

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

პოლიცია ოფისის ჩხრეკას ატარებდა, მოითხოვა ჩხრეკის ორდერი. უფროსი რანგის პოლიციელმა, რომელიც ჩხრეკას ხელმძღვანელობდა და მოგვიანებით იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც დ.კ., პირველ მომჩივანს უპასუხა, რომ ისინი საგამოძიებო ქმედებას ატარებდნენ ოპერატიულად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რის გამოც პოლიცია არ იყო ვალდებული, ჩხრეკის ორდერი წარმოედგინა. შემდეგ, დ.კ.-მ პირველ მომჩივანს მოსთხოვა, რომ მისთვის გადაეცა მობილური ტელეფონი, რაზეც მომჩივანმა უარი უთხრა და უპასუხა, რომ სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება ჰქონდა. ამის შემდეგ, დ.კ.-მ მას ხელში წვდა და მხარი გადაუტრიალა. საბოლოოდ, დ.კ.-მ შეძლო პირველი მომჩივნისთვის მობილური ტელეფონის ჩამორთმევა.

14. პირველმა მომჩივანმა გაიგონა, რომ პოლიციელები იყენებდნენ ისეთ გამონათქვამებს, როგორიცაა „გარყვნილები“, „ავადმყოფი ადამიანები“ და „ლესბოსელი“. როდესაც მან ჩამოხეული პოსტერი დაინახა და იკითხა, თუ ვინ გააკეთა ეს, დ.კ.-მ უპასუხა, რომ პოსტერი მან ჩამოხია იმიტომ, რომ ასე სურდა.

15. აღნიშნულის შემდეგ, პირველი მომჩივანი გაშიშვლებით გაჩხრიკა ორმა პოლიციელმა ქალმა. იგი ოფისის ტუალეტში ცალკე გაჩხრიკეს ისე, რომ მისთვის ჩხრეკის მიზეზები არ განუმარტავთ. პირველი მომჩივანი თვლიდა, რომ ჩხრეკა ჩატარდა მის დასამცირებლად, ვინაიდან მას მოსთხოვეს ტანსაცმელი გაეხადა და საცვლის ამარა დარჩენილიყო. პოლიციელებს პირველი მომჩივნის მიერ გახდილი ტანსაცმელი არ შეუმოწმებიათ. ტუალეტში ყოფნის დროს, პოლიციელები აგრძელებდნენ ოფისში მყოფი ქალების მისამართით სხვადასხვა შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებას (იხ. პუნქტები 8 და 11 ზემოთ). პოლიციელთა კომენტარებმა და ზოგადად, არსებულმა სიტუაციამ პირველ მომჩივანს თავი დამცირებულად აგრძნობინა. მან დაახლოებით 5 წუთი გაატარა ტუალეტში. პოლიციელებს არ მოუშზადებიათ გაშიშვლებით ჩხრეკის ოქმი და მისთვის რაიმე დოკუმენტის ხელმოწერა არ უთხოვიათ.

C. მეორე მომჩივნის მიერ საკუთარი მდგომარეობის აღწერა, 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციელების მიერ ჩატარებული რეიდის დროს.

16. მეორე მომჩივანი „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში დაახლოებით საღამოს 9 საათზე მივიდა. მან უკვე იცოდა მეგობრისგან, რომ იქ პოლიციელები იმყოფებოდნენ. როდესაც იგი ოფისში შევიდა, დაინახა

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

რომ ყველაფერი არეული იყო: გადაადგილებული იყო ავეჯი, დაშლილი იყო პიანინო და სხვადასხვა საგნები ეყარა იატაკზე. ოფისში დადიოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული უცნობი ადამიანები, რომლებიც მობილურ ტელეფონებზე საუბრობდნენ ან უბრალოდ ისხდნენ. ერთ-ერთმა პოლიციელმა მეორე მომჩივანი საკუთარი ნების წინააღმდეგ აიძულა, შეხვედრის ოთახში შესულიყო. ოთახში მეორე მომჩივანმა შეამჩნია, რომ ზოგიერთი ქალი შეშინებული იყო და ტიროდა. ოთახში ყოფნისას მეორე მომჩივანმა გაარკვია, რომ პოლიციას ოფისიდან ნარკოტიკები ჰქონდა ამოღებული.

17. მეორე მომჩივანი თავის დასთან ერთად ორმა პოლიციელმა ქალმა გაშიშვლებით გაჩხრიკა ტუალეტში. პირველი მომჩივნის მსგავსად (იხ. პუნქტი 15 ზემოთ), იგი თვლიდა, რომ გაშიშვლებით ჩხრეკა ჩატარდა მისი და მისი დის დასამცირებლად. კერძოდ, მათ ტანსაცმლის გახდა უბრძანეს, თუმცა, გახდილი ტანსაცმელი პოლიციას სათანადოდ არ შეუმოწმებია. მეორე მომჩივანმა ტუალეტში დაახლოებით 5 წუთი გაატარა. პოლიციელებს არ შეუდგენიათ ჩხრეკის ოქმი და მისთვის არ უთხოვიათ, რომ ხელი მოეწერა რაიმე დოკუმენტისთვის.

II. 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციელთა მიერ სავარაუდოდ

ძალის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება

18. 2010 წლის 9 იანვარს მომჩივნებმა საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას („მთავარი პროკურატურა“), ქალაქ თბილისის პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელს („შსს-ს გენინსპექცია“). ისინი პოლიციელთა მიერ „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს ძალის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე მიუთითებდნენ და ითხოვდნენ საკითხის გამოძიებას და შესაბამის რეაგირებას.

19. მომჩივნის 2010 წლის 9 იანვრის წერილი მთავარმა პროკურატურამ და შსს-ს გენინსპექციამ გადაუგზავნეს თბილისის პროკურატურას, შესაბამისად, 2010 წლის 12 და 22 იანვარს, შემდგომი რეაგირებისთვის.

20. 2020 წლის 8 თებერვალს, მომჩივნებმა გენინსპექციას და მთავარ პროკურატურას მიმართეს მათ მიერ 2010 წლის 9 იანვარს წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით და ცალსახად მოითხოვეს, რომ საგამოძიებო ორგანოებს მხედველობაში მიეღოთ ის, თუ რა გავლენა იქონია ქალების

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

აღქმულმა სექსუალურმა ორიენტაციამ და გენდერულმა იდენტობამ პოლიციელთა ქცევაზე.

21. 2010 წლის 19 აპრილს მომჩივნებმა თბილისის პროკურორს მიმართეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით; მათ, ასევე, მოითხოვეს, რომ დაკითხულიყვნენ.

22. 2010 წლის 25 ივნისს, მომჩივნებმა თბილისის პროკურორს მიმართეს კითხვით, თუ რატომ დარჩა მათი საჩივრები რეაგირების გარეშე. მომჩივნებმა კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილეს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე კონვენციის დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩხრეკის დროს. ისინი კითხულობდნენ, 2010 წლის 9 იანვრის საჩივრის საფუძველზე აღძრული იყო თუ არა გამოძიება, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გამოძიების დაუყოვნებლივ აღძვრას ითხოვდნენ. ისინი, ასევე, მოითხოვდნენ, რომ მინიჭებოდათ მსხვერპლის სტატუსი და დაკითხულიყვნენ სხვა ქალებთან ერთად, რომლებიც 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციის მიერ განხორციელებული რეიდის დროს, „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში იმყოფებოდნენ. მომჩივნების წერილს თან ერთვოდა ორივე მომჩივნისა და თვითმხილველების დეტალური წერილობითი ჩვენებები, სადაც პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენება დეტალურად იყო აღწერილი.

23. 2011 წლის 16 მარტს მომჩივნებმა თბილისის პროკურორს კვლავ წერილობით მიმართეს. ისინი სამართალდამცავი ორგანოებისათვის მანამდე გაგზავნილ კორესპონდენციაზე მიუთითებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ არც ერთ მათგანზე პასუხი არ ჰქონდათ მიღებული. მომჩივნები კიდევ ერთხელ შეახსენებდნენ პროკურატურას, რომ ეროვნული კანონმდებლობის და კონვენციის თანახმად მათ ჰქონდათ პოზიტიური მოვალეობა, განეხორციელებინათ ეფექტური გამოძიება, რათა მომხდარიყო იმ პირთა სამართლებრივი დევნა და დასჯა, რომელთაც მომჩივნები დაუქვემდებარეს კონვენციის მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების საწინააღმდეგო მოპყრობას.

24. 2011 წლის 14 აპრილს, მომჩივნებმა მიიღეს წერილი თბილისის პროკურორისგან, რომელიც მათ ატყობინებდა, რომ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). წერილში არ იყო მითითებული, თუ როდის დაიწყო გამოძიება და რა საგამოძიებო ღონისძიებები ჩატარდა. მომჩივნებმა 2011 წლის 17 მაისს თბილისის პროკურორს კიდევ ერთხელ მიმართეს წერილობით.

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

25. 2011 წლის 28 ივნისს, მომჩინებმა მიიღეს წერილი თბილისის პროკურორისგან, სადაც კვლავ მითითებული იყო რომ საქმეზე მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფუძველზე. წერილის თანახმად, „სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით უკვე ჩატარდა არაერთი წინასწარი საგამოძიებო ღონისძიება. ყოველმხრივი გამოძიების ჩასატარებლად, იგეგმება სხვა შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება.“ წერილი არ შეიცავდა რაიმე სხვა ინფორმაციას.

26. საქმის მასალების თანახმად, პოლიციელთა მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევა არ დადასტურებულა. საქმის არსებული მასალები არ შეიცავს რაიმე ინფორმაციას ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა.

შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო დოკუმენტები

27. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები, რომელიც საქართველოში ლგბტ თემის მდგომარეობას შეეხება, სრულად არის განხილული [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, (no. 73235/12, 2015 წლის 12 მაისი), პუნქტები 30-39.

კანონმდებლობა

I. მთავრობის მოთხოვნა კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ

28. მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც სასამართლოს სთხოვდა კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას. მომჩინებმა აღნიშნულის პასუხად განაცხადეს, რომ დეკლარაციის პირობები ვერ უზრუნველყოფდა მათი დარღვეული უფლებების აღდგენას.

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

29. საკუთარ იურისპრუდენციაში დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაცია არ აძლევს სასამართლოს საკმარის საფუძველს დაასკვნას, რომ კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაგრძელებას (იხ. 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, *ბოლოში*). შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის მოთხოვნას საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვასთან დაკავშირებით და აგრძელებს საქმის არსებითი მხარის განხილვას (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* (პირველადი პრეტენზია) [GC], no. 26307/95, § 75, ECHR 2003-VI).

II. კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

30. მომჩივნები მიუთითებდნენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, და აცხადებდნენ, რომ 2009 წლის 15 დეკემბერს, ფონდის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს, პოლიციელებმა მათზე განახორციელეს არასათანადო მოპყრობა; არ ჩატარებულა პოლიციელთა მიერ ძალის ბოროტად გამოყენების სათანადო გამოძიება, ხოლო სახელმწიფოს მიერ ნეგატიური და პოზიტიური უფლებების აღნიშნული დარღვევა გამოიხატებოდა შესაბამისი შიდასახელმწიფო ორგანოების დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში, მომჩივანთა რეალური და/ან აღქმული სექსუალური ორიენტაციის და/ან ლგბტ თემთან დაკავშირებული მათი საქმიანობის მიმართ. ციტირებული დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 3

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

მუხლი 14

“ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნისა.“

A. დასაშვებობა

31. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტები საჩივრის დასაშვებობის წინააღმდეგ.

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის ცალსახად უსაფუძვლო ან დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლში წარმოდგენილი რომელიმე საფუძვლის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლო საჩივარს დასაშვებად ცნობს.

B. საჩივრის არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

33. მთავრობას სადაო არ გაუხდია 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციის მიერ „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მომჩივნებმა წარმოადგინეს (იხ. პუნქტები 6-17 ზევით) და არ წარმოუდგენია მოვლენათა განვითარების ალტერნატიული ვერსია. მთავრობა მხოლოდ აცხადებდა, რომ პოლიციელთა ქმედებას არ მიუღწევია სისასტიკის იმ აუცილებელი ზღვარისთვის, რომელიც გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების გავრცელებას.

34. პასუხად მომჩივნებმა განაცხადეს, რომ არსებობდა საკმარისი და რელევანტური ფაქტორების ერთობლიობა - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა მათ მიმართ, რომელიც აშკარად მოტივირებული იყო დისკრიმინაციით, სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის ნიშნით - რომელიც პოლიციელების მიერ მათ მოპყრობას ხდიდა საკმარისად სასტიკს, რათა მიეღწია სისასტიკის მინიმალური ზღვარისთვის და კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში მოხვედრილიყო. ამასთან, ისინი საჩივარში აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა საკუთარი პროცედურული მოვალეობები და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პოლიციელთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება 2011 წლიდან მიმდინარეობდა (იხ. პუნქტი 24), თუმცა, უშედეგოდ.

2. სასამართლოს შეფასება

(a) საქმის ფარგლები

35. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად აღებული მოვალეობა, გამოიძიოს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული ძალადობა და სახელმწიფოს მოვალეობა, გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობრივ ქმედებას შორის არსებული სავარაუდო კავშირი, შესაძლოა, ხვდებოდეს კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული ასპექტების ქვეშ. ამავდროულად, აღნიშნული, შესაძლოა აღქმული იქნას სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-3 მუხლით დაცული ფუნდამენტური ღირებულებების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველსაყოფად, კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად აღებული მოვალეობების შემადგენელ ნაწილად (მაგალითის სახით, იხ. *Bekos and Koutropoulos v. Greece*, no. 15250/02, §§ 45-55 და 63-75, ECHR 2005-XIII (ამონარიდები), და *Ciorcan and Others v. Romania*, nos. 29414/09 და 44841/09, §§ 139-151 და 156-157, 2015 წლის 27 იანვარი). ამ ორ დებულებას შორის ურთიერთკავშირის არსებობის გამო, ისეთი საკითხები, როგორც წინამდებარე საქმეში გხვდება, შესაძლოა მართლაც განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი ნორმის მიხედვით, მეორე ნორმასთან დაკავშირებული საკითხის წამოჭრის გარეშე, ან შესაძლოა მოითხოვდეს ერთდროულად ორივე ნორმის მიხედვით განხილვას. ეს არის საკითხი, რომლის გადაწყვეტა ყოველი საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან და გაკეთებული ბრალდებების ხასიათიდან გამომდინარე უნდა მოხდეს (იხ. *Identoba and Others, v. Georgia*, no. 73235/12, § 63, 2015 წლის 12 მაისი და *B.S. v. Spain*, no. 47159/08, §§ 59-63, 2012 წლის 24 ივლისი).

36. სასამართლო, წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, ითვალისწინებს რა მომჩივნების მიერ წამოყენებულ ბრალდებებს, – რომ მათზე განხორციელებულ ძალადობას ჰომოფობიური და ტრანსფობიური ქვეტექსტი ჰქონდა, რომელიც უგულებელყოფილ იქნა ხელისუფლების ორგანოების მიერ, გამოძიების უზრუნველყოფის პროცესში - მიიჩნევს, რომ საქმის განხილვისთვის მიზანშეწონილია, მომჩივანთა პრეტენზიების ერთდროულად ორმაგი განხილვა, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. *Identoba and Others*, ციტირებული ზემოთ, § 64, და *M.C. and A.C. v. Romania*, no. 12060/12, § 106, 2016 წლის 12 აპრილი). ამასთან, სასამართლო

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია საქმის არსებითი განხილვის დაწყება, პირველ რიგში, არასათანადო გამოძიების შესახებ პრეტენზიის განხილვით, რის შემდეგაც სასამართლო იმსჯელებს, სახელმწიფოს უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო.

(b) სავარაუდო არასათანადო გამოძიება

(i) ზოგადი პრინციპები

37. ვინაიდან კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ზოგადი მოვალეობა „ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, მე-3 მუხლის დებულებები მიანიშნებს იმაზე, რომ უნდა არსებობდეს რაიმე ფორმის ეფექტური ოფიციალური გამოძიება იმ შემთხვევაში, თუ პირი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ მან, *inter alia*, პოლიციის ან სხვა მსგავსი ორგანოების ხელში, განიცადა მოპყრობა, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს. იმისათვის, რომ გამოძიება ჩაითვალოს „ეფექტურად“, იგი არსებითად უნდა განაპირობებდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და - თუ ეს საჭიროა - მათ დასჯას. აღნიშნული წარმოადგენს მოვალეობას, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ გამოსაყენებელ საშუალებებს და არა მისაღწევ შედეგებს. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ის ზომა, რომელიც გონივრულობის ფარგლებში, მათთვის არის ხელმისაწვდომი, რათა მოიპოვონ მტკიცებულებები ინციდენტთან დაკავშირებით, მათ შორის, *inter alia*, მოწმეთა ჩვენებები, სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებები და სხვა. გამოძიებაში არსებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეუძლებელს ხდის გამოძიების მიერ დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენას ან პასუხისმგებელი პირების ვინაობის გამოვლენას, ქმნის იმის რისკს, რომ არ მოხდება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილება, ხოლო აღნიშნულ კონტექსტში, ოპერატიულობისა და გონივრული დაჩქარების მოთხოვნა არის ნაგულისხმევი. იმ საქმეებში, სადაც მომჩივნები დავობენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას და ეჭვქვეშ აყენებენ ოფიციალური გამოძიების ეფექტურობას, სასამართლო ხშირად აფასებს, თუ რამდენად სწრაფი რეაგირება მოახდინეს სახელმწიფო ორგანოებმა საჩივრებზე, შესაბამის დროს. ამ მხრივ, სასამართლო ითვალისწინებს გამოძიების დაწყების დროს, ჩვენებების ჩამორთმევის პროცესში არსებულ

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

გაქიანურებებს და წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობას (იხ. *Bouyid v. Belgium* [GC], no. 23380/09, §§ 116 და 119-123, ECHR 2015; *Mocanu and Others, Mocanu and Others v. Romania* [GC], nos. 10865/09 და 2 სხვა, § 323, ECHR 2014 (ამონარიდები); და *Identoba and Others*, ციტირებული ზემოთ, § 66). არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებების გამოძიების პროცესში ხელისუფლების ორგანოების ოპერატიულ რეაგირებას, ზოგადად, შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად მათ მიერ კანონის უზენაესობის დაცვის დროს და უკანონო აქტების ჩადენაზე თანხმობის ან შემწყნარებლური დამოკიდებულების ნებისმიერი გამოვლინების თავიდან აცილების დროს. ამგვარი აქტების მიმართ ხელისუფლების ორგანოების შემწყნარებლურმა დამოკიდებულებამ არ შეიძლება არ შეარყიოს საზოგადოების ნდობა კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოს მიერ კანონის უზენაესობის დაცვის მიმართ (იხ. *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, § 97, 2007 წლის 3 მაისი).

38. ისეთი ძალადობრივი ინციდენტების გამოძიების დროს, როგორცაა არასათანადო მოპყრობა, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ მოვალეობა, გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი შესაძლო დისკრიმინაციული მოტივების გამოსავლენად, რაც, სასამართლო აღიარებს, რომ რთული დავალებაა. სახელმწიფოს მოვალეობა, გამოიძიოს ძალადობის შესაძლო დისკრიმინაციული მოტივები წარმოადგენს მაქსიმალური ძალისხმევის გაწევს მოვალეობას და არ არის აბსოლუტური. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს კეთილგონივრული ქმედებები მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის მიზნით, გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის დასადგენად, გამოიტანოს სრულიად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები და არ დატოვოს განუხილველად საეჭვო ფაქტები, რომლებიც შეიძლება ადასტურებდეს ძალადობას, რომელიც გამოწვეულია, მაგალითად, რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობით, ან ძალადობას, რომელიც მოტივირებულია გენდერის ნიშნით დისკრიმინაციით (იხ. *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 და 43579/98, § 160, ECHR 2005-VII; *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others*, ციტირებული ზემოთ, §§ 139-42; და *Mudric v. the Republic of Moldova*, no. 74839/10, §§ 60-64, 2013 წლის 16 ივლისი).

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

(ii) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის
გარემოებების მიმართ

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 9 იანვარს აღიძრა სისხლის სამართლის საჩივარი, პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო 1 თვის შემდეგ, მათ ცალსახად სთხოვეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, მხედველობაში მიეღოთ პოლიციელთა ქცევის სავარაუდოდ დისკრიმინაციული ასპექტები (იხ. პუნქტები 18 და 20 ზემოთ). მიუხედავად ამისა, მთავრობას არ დაუდასტურებია, რომ ერთი საგამოძიებო ქმედება მაინც განხორციელდა. ნებისმიერ შემთხვევაში, დღეის მდგომარეობით, პოლიციელთა მიერ ძალის ბოროტად გამოყენების ფაქტზე აღძრულ გამოძიებას რაიმე დასკვნითი მიგნებები არ მოუტანია. ასეთი ხელისშემშლელი გაჭიანურება, როგორც ასეთი, შეუთავსებელია კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს მოვალეობასთან, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანთა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ჩამდენთა იდენტიფიცირება რთულ დავალებას არ წარმოადგენდა (შედარებისათვის, იხილეთ, მაგალითად, *M.C. and A.C.*, ციტირებული ზემოთ, §§ 121-2, და *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others*, ციტირებული ზემოთ, §§ 118-124). ამასთან, არ იქნა უზრუნველყოფილი რაიმე ფორმით მომჩივანთა ეფექტური ჩართულობა გამოძიებაში, ვინაიდან მათ დაზარალებულის სტატუსიც კი არ მიანიჭეს, არაერთი მიმართვისდა მიუხედავად (იხ. პუნქტები 21 და 22 ზემოთ, ხოლო შედარებისათვის, იხილეთ, მაგალითად *Identoba and Others*, ციტირებული ზემოთ, § 75, და *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, § 140, 2014 წლის 7 ოქტომბერი).

40. რაც მთავარია, სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოძიების გაჭიანურებამ გამოავლინა სახელმწიფო ორგანოების ხანგრძლივი უუნარობა - რაც, შესაძლოა, ასევე, წაკითხულ იქნას, როგორც ნების არ არსებობა - შეესწავლა, თუ რა როლს თამაშობდა ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური მოტივები პოლიციელთა მიერ ძალის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევაში. არსებობდა მწვავე საჭიროება, რომ [სახელმწიფო ორგანოებს] გამოეკვლიათ, წარმოადგენდა თუ არა დისკრიმინაცია პოლიციელთა ქცევის მამოტივირებელ ფაქტორს, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში იმ დროს ლგბტ თემის მიმართ კარგად დოკუმენტირებული მტრული განწყობები არსებობდა (იხ. პუნქტი 46 ქვემოთ), და მომჩივანთა პრეტენზიების გათვალისწინებით, რომელიც

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

პოლიციელთა მიერ ინციდენტის დროს სიძულვილის ენის გამოყენებას შეეხებოდა (შედარებისთვის, იხ. *Identoba and Others*, ციტირებული ზემოთ, § 77, and *M.C. and A.C.*, ციტირებული ზემოთ, § 124).

41. ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიება პოლიციელთა მიერ მომჩივნების დისკრიმინაციული მოტივით არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით იყო არაეფექტური, ვინაიდან მთავრობას არ წარმოუდგენია ერთი საგამოძიებო ღონისძიებაც კი, რომელიც პრაქტიკაში გატარდა. შესაბამისად, დარღვეულ იქნა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი, წაკითხული მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

(c) სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

(i) ზოგადი პრინციპები

42. სასამართლო იმეორებს, რომ მე-3 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური არასათანადო მოპყრობით, არამედ, იგი, ასევე, მოიცავს ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას. ამრიგად, მოპყრობა შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც „დამამცირებელი“ მოპყრობა და შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის მოქმედების სფეროში მოხვდეს, თუ იგი მსხვერპლს განაცდევინებს შიშს, ტანჯვას და არასრულფასოვნების შეგრძნებას ან თუ იგი ამცირებს პიროვნებას მსხვერპლის თვალში და/ან სხვა ადამიანების თვალში, მიუხედავად იმისა, ეს იყო თუ არა მიზანი, თუ იგი ახდენს პიროვნების ფიზიკური ან მორალური წინააღმდეგობის გატეხვას ან აიძულებს, მოიქცეს საკუთარი ნების ან სინდისის წინააღმდეგ, ან პატივს არ სცემს ან აკნინებს ადამიანის ღირსებას (დამატებით წყაროებთან ერთად, იხ. *M.C. and A.C.*, ციტირებული ზემოთ, § 108). ამასთან, როდესაც ადამიანს უპირისპირდებიან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, ფიზიკური ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც არ წარმოადგენს მისი ქცევით განპირობებულ მკაცრ აუცილებლობას, აკნინებს ადამიანის ღირსებას და, არსებითად, არღვევს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. სიტყვები „არსებითად“ არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა არსებობდეს სიტუაციები, სადაც დარღვევის დადგენა უადგილოა, ვინაიდან სისასტიკის მინიმალური ზღვარი არ ყოფილა მიღწეული. ვინაიდან ადამიანის ღირსებაში ჩარევა თავად კონვენციის არსს ეწინააღმდეგება, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ნებისმიერი ქცევა პირის მიმართ, რომელიც აკნინებს

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

ადამიანის ღირსებას, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას (მაგალითად, იხ. *Bouyid*, ციტირებული ზემოთ, §§ 100 და 101, ასევე, იხ. *Zherdev v. Ukraine*, no. 34015/07, § 86, 2017 წლის 27 აპრილი).

43. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ საჩივართან დაკავშირებით მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო იყენებს მტკიცებულების სტანდარტს „გონივრულ ეჭვს მიღმა“. ამასთან, სასამართლოს მიზანი არ არის, ისეხოს იმ ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიდგომა, სადაც ეს სტანდარტი გამოიყენება. სასამართლოს ფუნქცია არ არის, გადაწყვეტილება გამოიტანოს სისხლის სამართლებრივ ბრალეულობაზე ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, არამედ, მან უნდა განიხილოს ხელისშემკვრელ სახელმწიფოთა კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები. სასამართლოს წინაშე განხილვის დროს არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულებათა მისაღებად ან წინასწარ დადგენილი ფორმულა მათ შესაფასებლად. სასამართლოს გამოაქვს დასკვნები, რომლებიც, მისი აზრით, ემყარება მტკიცებულების თავისუფალ შეფასებას, ასევე, ნებისმიერ დასკვნას, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ფაქტების შესახებ საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული ან გაუბათილებელი პრეზუმფციების ერთობლიობიდან. უფრო მეტიც, სარწმუნოების ხარისხი, რომელიც აუცილებელია კონკრეტული დასკვნის გამოსატანად, და მტკიცების ტვირთის განაწილება უშუალოდაა დაკავშირებული ფაქტებთან, ბრალდების ხასიათთან და თავად კონვენციით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებასთან. როდესაც ხელისუფლებამ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი იცის განსახილველი მოვლენების შესახებ, მტკიცების ტვირთი გადადის მთავრობაზე, რათა მან წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება. კერძოდ, მთავრობამ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ჩრდილს აყენებს მსხვერპლის მიერ აღწერილ მოვლენათა განვითარებას. ასეთი განმარტების არ არსებობის პირობებში, სასამართლომ შესაძლოა გააკეთოს მთავრობისთვის არახელსაყრელი დასკვნები (იხ. *Bouyid*, ციტირებულია ზემოთ, § 83; *Nachova and Others*, ციტირებულია ზემოთ, § 147, ECHR 2005 VII; და *Farbutuhs v. Latvia*, no. 4672/02, § 54, 2004 წლის 2 დეკემბერი).

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

44. და ბოლოს, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციით მოტივირებული ძალადობისა და სისასტიკის თანაბარი საფუძველით განხილვა იმ საქმეებთან ერთად, რომლებშიც მსგავსი არაფერია მოყვანილი, იმ ქმედებების განსაკუთრებულ ხასიათზე თვალის დახუჭვა იქნებოდა, რომლებიც ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ფუნდამენტურ უფლებებს. არსებითად განსხვავებულ სიტუაციებზე რეაგირების მეთოდებს შორის განსხვავების დადგენის შეუძლებლობა შესაძლოა წარმოადგენდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ, გაუმართლებელ მოპყრობას (იხ. მაგალითად, *Begheluri*, ციტირებული ზემოთ, §§ 173 და 179).

(ii) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებების მიმართ

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის დროს განვითარებული მოვლენების ის ვერსია, რომელიც მომჩივნებმა წარმოადგინეს მთავრობას არა მხოლოდ არ გაუხდია სადავოდ, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ ირიბად დაეთანხმა კიდეც, იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა შეეწინააღმდეგა მხოლოდ მომჩივნების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე. აღნიშნულის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ მოვლენების მომჩივანთა ვერსია, ასევე, დადასტურებული იყო მოვლენების შესახებ სხვა თვითმხილველთა მკაფიო და თანმიმდევრული ჩვენებებით, რომელთა უარყოფაც არ მომხდარა (იხ. პუნქტები 6-12 ზემოთ), მის ხელთ არსებულ მასალებსა და მხარეთა ქცევაზე დაყრდნობით, კერძოდ კი, იმაზე დაყრდნობით, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს ინციდენტის გამოძიება (იხ. პუნქტები 39-41 ზემოთ), სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნების მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკმარისად დამაჯერებელია და დადგენილია გონივრული ეჭვის მიღმა (იხ. მაგალითად, *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, §§ 164-167, ECHR 2012).

46. შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, სახელმწიფოს უნდა დეკლაროს თუ არა პასუხისმგებლობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევისთვის, წაკითხული მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, 2009 წლის 15 დეკემბრის ინციდენტის დროს პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით. ასეთი შეფასების დროს,

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ კითხვას: (i) პოლიციელთა სადავო ქმედებებმა მიაღწია თუ არა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის სიმძიმის ზღვარს, მე-14 მუხლიდან ერთობლიობაში; და (ii) ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილი წარმოადგენდა თუ არა პოლიციელთა სადავო ქმედებების განმაპირობებელ ფაქტორს (იხ. მაგალითად, *Identoba and Others*, ციტირებული ზემოთ, § 71; *M.C. and A.C.*, ციტირებული ზემოთ, § 119; *Ciorcan and Others*, ციტირებული ზემოთ, § 160; და *Bekos and Koutropoulos*, ციტირებული ზემოთ, § 64).

47. სასამართლო ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ორივე კითხვას პასუხობს დადებითად, 2009 წლის 15 დეკემბერს „ფონდ ინკლუზივის“ ჩხრეკის დროს პოლიციელთა ქმედების გათვალისწინებით. პოლიციელებმა განზრახ შეულახეს ღირსება და დაამცირეს განმცხადებლები და მათი კოლეგები სიძულვილის ენის გამოყენებით, ოფისში მყოფ ადამიანთა გასაგონად შეურაცხყოფის მიყენებით ისეთი ფრაზებით, როგორცაა „ავადმყოფი ხალხი“, „გარყვნილები“ და „ლესბოსელები“. ამასთან, მომჩივანთა პირად შეურაცხყოფასთან ერთად, ზოგიერთი პოლიციელის ქმედება შეიცავდა მუქარის ელემენტებს. პოლიციელები უხეშად, არასათანადოდ ეპყრობოდნენ „ინკლუზივის“ ოფისში შეკრებილ ადამიანებს, მათ შორის, ორ მომჩივანს - რომლებიც, სავარაუდოდ, განეკუთვნებოდნენ ლგბტ თემს, რომელიც იმ დროს ქვეყანაში სახიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდა (იხ. *Identoba and Others*, ციტირებულ იზემოთ, § 68) – და მათ თავიანთი რეალური და/ან აღქმული სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას ჰპირდებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ზღვარზე იყვნენ. ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარას მოჰყვა ერთ-ერთი პოლიციელის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მას შენობის დაწვის სურვილი ჰქონდა. ამასთან, პირველ მომჩივანს სხვა პოლიციელმა მობილური ტელეფონი ძალით ჩამოართვა (იხ. პუნქტები 9 და 13 ზემოთ).

48. სასამართლოსათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მომჩივნებისა და მათი კოლეგების გაშიშვლებით ჩხრეკას ჩატარდა „ფონდ ინკლუზივის“ ოფისის ტუალეტში (იხ. პუნქტები 11, 15 და 17 ზემოთ). აღნიშნულ ინვაზიური საგამოძიებო ტექნიკის შესახებ არ მომზადებულა რაიმე დოკუმენტი და არ გაკეთებულა რაიმე ჩანაწერი; პოლიციას მომჩივნებისთვის არ გაუცნია გაშიშვლებით ჩხრეკის მიზეზები, ხოლო მთავრობას თავის არგუმენტებში ასეთ მიზეზებზე მითითება არ გაუკეთებია. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით,

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

სასამართლო იზიარებს მომჩივანთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ ჩხრეკას არანაირი საგამომიებო ღირებულება არ ჰქონია და ამ მოქმედების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა მომჩივნების და სხვა ქალების შერცხვენა და დამცირება და ამით მათი დასჯა ლგბტ თემთან ასოცირების გამო; პოლიციელი ქალების მიერ გაშიშვლებით ჩხრეკის პროცესში გაკეთებული ჰომოფობიური კომენტარები, შესაძლოა, მიჩნეულ იქნას დამატებით მტკიცებულებად იმისა, რომ ამ ქმედებების მიზანს შეურაცხყოფა წარმოადგენდა (იხ. პუნქტები 11 და 15 ზემოთ).

49. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ 2009 წლის 15 დეკემბერს „ფონდ ინკლუზივის“ ოფისის ჩხრეკის დროს პოლიციელთა სრულიად შეუფერებელი ქცევა მოტივირებული იყო ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილით და იგი მომჩივნებში აუცილებლად აღძრავდა შიშის, ტანჯვისა და დაუცველობის გრძნობას, რაც არ არის თავსებადი მათი ადამიანური ღირსების პატივისცემასთან. ამგვარი ქცევა აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, აღებული მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

50. აღნიშნული გარემოებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტის დარღვევა, წაკითხული კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

51. მომჩივნები კონვენციის მე-8 მუხლზე და კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე მიუთითებდნენ და იმეორებდნენ თავიანთ პრეტენზიებს დისკრიმინაციულ არასათანადო მოპყრობასთან და ამ მოპყრობის ეფექტური გამოძიების არ არსებობასთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 30 ზემოთ).

52. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის ეს ნაწილი უკავშირდება იმ საკითხებს, რომელიც სასამართლომ უკვე განიხილა კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების ჭრილში. შესაბამისად, საჩივრის ეს ნაწილი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი. ამავდროულად, განსახილველი საკითხების არსებით მხარესთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. პუნქტები 39-41 და 45-50 ზემოთ), სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საჩივრის დანარჩენი ნაწილის ცალკე განხილვის საჭიროება (იხ. *M.C. and A.C.*, ციტირებული ზემოთ, § 126).

IV. კონვენციის 41-ე მუხლის მოქმედება

53. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

54. თითოეული მომჩივანი ითხოვდა 2,000 ევროს, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. მათ სასამართლოს, ასევე, მიმართეს თხოვნით, სახელმწიფოსათვის მიეთითებინა, რომ საჭიროა ჩატარდეს 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენების შემთხვევის ეფექტური გამოძიება.

55. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების მოთხოვნა გადაჭარბებული იყო.

56. სამართლიანობის საკითხების მხედველობაში მიღებით, სასამართლო თითოეულ მომჩივანს ანიჭებს 2,000 ევროს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, იმ ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება დაეკისროთ აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით.

57. რაც შეეხება მომჩივნების თხოვნას სახელმწიფოსათვის დამატებითი ღონისძიების მითითებასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო ადგენს კონვენციისა თუ დამატებითი ოქმების დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას აკისრებს, გადაუხადოს მიკუთვნებული თანხები შესაბამის პირებს სამართლიანი დაკმაყოფილების ფორმით. ასევე, სახელმწიფომ უნდა აირჩიოს, რაც თავის მხრივ, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის საგანია, ზოგადი ან/და საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური ღონისძიებები ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს დონეზე, რითაც დაასრულებს სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევას და აღმოფხვრის [დარღვევის] შედეგებს დარღვევამდე არსებული ვითარების მაქსიმალურად აღდგენით (იხ. მაგალითად, *Maestri v. Italy* [GC], no. 39748/98, § 47, ECHR 2004-I). შესაბამისად, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აირჩიოს, რაც თავის მხრივ მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას ექვემდებარება, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი კონკრეტული საშუალება, მათ შორის, ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, *Abu Zubaydah v. Lithuania*, no. 46454/11, §§ 682 და 683, 2018 წლის 18 მაისი).

B. ხარჯები და დანახარჯები

58. განმცხადებლები ითხოვდნენ 1,750 ფუნტი სტერლინგის (GBP - დაახლოებით, 2070 ევრო) ანაზღაურებას, რაც სასამართლოს წინაშე ბრიტანელი ადვოკატების მიერ (იხ. პუნქტი 2 ზემოთ) წარმომადგენლობისთვის გაიღეს. აღნიშნული თანხა ეფუძნებოდა ადვოკატების მიერ საქმეზე ნამუშევარი საათების რაოდენობას (11 საათი და 40 წუთი) და ადვოკატთა საათობრივ ტარიფს (GBP 150). მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ შესაბამისი იურიდიული მომსახურების კონტრაქტები, ინვოისები, ვაუჩერები ან ნებისმიერი სხვა დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტები.

59. მომჩივნებმა, ასევე, მოითხოვეს GBP 388.30 (დაახლოებით, 460 ევრო), საფოსტო, სათარჯიმნო და სხვა ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც გაიღო აღნიშნულმა ბრიტანელმა ადვოკატმა. ამ მხრივ, მათ წარმოადგინეს აღნიშნული ადვოკატის სახელზე გაცემული შესაბამისი ინვოისების ასლი.

60. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების მოთხოვნები იყო უსაფუძვლო და გადაჭარბებული.

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმომადგენლის ხარჯები „რეალურად დაკისრებულად“ ითვლება, თუ მომჩივანმა ის უკვე გადაიხადა ან ვალდებულია, გადაიხადოს. შესაბამისად, იმ წარმომადგენლის ხარჯები, რომელიც [მომჩივნებს] უფასოდ მოემსახურა, „რეალურად დაკისრებულად“ არ ითვლება. საპირისპირო შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც საქმე ეხება იმ წარმომადგენლის ხარჯებს, რომელსაც აღნიშნულ თანხაზე უარი არ უთქვამს, თუმცა, უბრალოდ, არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს იმ კუთხით, რომ მიეღო ეს ხარჯები ან გადადო მათი მიღება. ხარჯები, რომლებიც გადასახდელია წარმომადგენლისთვის პირობაზე დაფუძნებული შეთანხმების შესაბამისად, დაკისრებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება აღსრულებადია

გადაწყვეტილება საქმეზე „ადდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

შესაბამის იურისდიქციაში (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, § 371, 2017 წლის 28 ნოემბერი). წინამდებარე საქმეში, მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მათ გადაიხადეს ან ეკისრებოდათ ბრიტანელი წარმომადგენლისთვის ჰონორარიის გადახდის ან მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების იურიდიული ვალდებულება. ასეთი დოკუმენტების არ არსებობის პირობებში, სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, მიიჩნოს, რომ მომჩივანს რეალურად მოუხდა მის მიერ მოთხოვნილი ხარჯების და დანახარჯების გაღება (ibid., §§ 361-62, 364-65 და 372-73, და *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, no. 50375/07, §§ 105-108, 2019 წლის 18 ივლისი; და *G.S. v. Georgia*, no. 2361/13, § 110, 2015 წლის 21 ივლისი).

62. შესაბამისად, მოთხოვნა არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

C. საურავი

63. სასამართლოს სათანადოდ მიაჩნია, საურავის ოდენობა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. *უარყოფს* მთავრობის მოთხოვნას საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვასთან დაკავშირებით;
2. *აცხადებს* საჩივარს მისაღებად;
3. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევას, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში;
4. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური მხარის დარღვევას, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში;
5. *ადგენს*, რომ არ არის საჭირო პრეტენზიების განხილვა კონვენციის მე-8 მუხლისა და კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე;
6. *ადგენს*, რომ

გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“

- (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის ვადაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, თითოეულ მომჩივანს უნდა გადაუხადოს 2,000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, იმ ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება მომჩივნებს დაეკისროთ აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით;
- (b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ფაქტიურ ანგარიშსწორებამდე, ზემოაღნიშნულ თანხას საჯარიმო ვადის განმავლობაში დაერიცხება მარტივი პროცენტი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, პლუს 3 პროცენტი;

7. უარყოფს მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე* და სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მხარეებს ეცნობათ წერილობით 2020 წლის 8 ოქტომბერს.

ვიქტორ სოლოვეტჩიკი
გამწესრიგებელი

სიოფრა ო'ლირი
თავმჯდომარე